ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 224

სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

08 ოქტომბერი , 2015 ქ. თბილისი

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[3] მუხლის პირველი ნაწილის, მე-10[7] მუხლის პირველი, მეორე, მეხუთე და მეექვსე ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 02 ოქტომბრის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დებულების “ მე-10 მუხლის მეორე პუნქტის „გ“ და „ფ“ ქვეპუნქტებისა და მე-15 მუხლის პირველი და მეხუთე პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2015 წლი 7 ოქტომბერს გამოცხადდეს კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად, შემდეგ სტუქტურულ ერთეულებში;

1.1 კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილება:

1.1.1 მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 3 (სამი) საშტატო ერთეული
1.1.2 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი -11 (თერთმეტი) საშტატო ერთეული
1.1.3 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 0.5- საშტატო ერთეული
1.1.4 მეცნიერ-თანამშრომელი - 3 (სამი) საშტატო ერთეული
1.1.5 მეცნიერ-თანამშრომელი -0.5 საშტატო ერთეული

1.2 წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის განყოფილება

1.2.1 მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი -2(ორი) საშტატო ერთეული
1.2.2 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი-4 (ოთხი) საშტატო ერთეული
1.2.3 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი-0.5-საშტატო ერთეული
1.2.4 მეცნიერ-თანამშრომელი - 2 (ორი) საშტატო ერთეული
1.2.5 მეცნიერ-თანამშრომელი -0.5-საშტატო ერთეული

1.3 ხელოვნებათმცოდნეობის განყოფილება:

1.3.1 მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი -1(ერთი) საშტატო ერთეული

1.3.2 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 1(ერთი) საშტატო ერთეული

1.3.3 მეცნიერ-თანამშრომელი -2 (ორი) საშტატო ერთეული

1.4 არქივთმცოდნეობის განყოფილება:

1.4.1 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 5 (ხუთი) საშტატო ერთეული

1.4.2 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი -0. 5 - საშტატო ერთეული

1.4.3 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი -0. 5 - საშტატო ერთეული

1.4.4 მეცნიერ-თანამშრომელი - 5(ხუთი) საშტატო ერთეული

1.5 ხელნაწერთა სიძველეთა დაცვის დეპარტამენტი:

1.5.1 მეცნიერ-თანამშრომელი -3(სამი) საშტატო ერთეული

1.6 კონსერვაციისა და რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორია (განყოფილება)

1.7.1 მეცნიერ-თანამშრომელი 4(ოთხი) საშტატო ერთეული

1.7 განათლებისა და გამოფენების განყოფილება

1.7.1 მეცნიერ-თანამშრომელი 1(ერთი) საშტატო ერთეული

1.8 სამეცნიერო -ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საენციკლოპედიო ლიტერატურის სამსახური:

1.8.1 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 0.5 საშტატო ერთეული

2. დამტკიცდეს სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად აუცილებელი პირობები დანართი 1-ის შესაბამისად;
3. კონკურში მონაწილე კანდიდატთა მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო დოკუმენტაციაა:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
- ავტობიოგრაფია (CV ფოტოსურათით).
- დასაკავებელი თანამდებობისთვის აუცილებელი შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (დოქტორანტებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა შესაბამისი დაწესებულებიდან);
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი (ცალკე დოკუმენტად წარმოდგენა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის ინფორმაცია არ არის მოცემული ავტობიოგრაფიაში/ CV-ში);
- გამოქვეყნებული 1 სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალსა და კვლევის უნარს;
- ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა განმცხადებლის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა (არაუმეტეს 2 გვერდისა);
- ჩამონათვალი სამეცნიერო გრანტების (მონაწილეობა/ხელმძღვანელობა);
- ჩამონათვალი ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის, დამადასტურებელი დოკუმენტაციით ;
- ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომლის შესრულებასაც აპირებს განმცხადებელი ვაკანტურ პოზიციაზე უახლოესი სამი წლის განმავლობაში (არაუმეტეს 2 გვერდისა);
- ინფორმაცია შესაბამისი დარგის 2 რეკომენდატორის შესახებ (სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელ-ფოსტა), (ცალკე დოკუმენტად წარმოდგენა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის ინფორმაცია არ არის მოცემული ავტობიოგრაფიაში/ CV-ში).

4. გამარჯვებული კანდიდატის გამოსავლენად განისაზღვროს კონკურსის 2 ეტაპი:
    - განცხადების გადარჩევა
    - გასაუბრება
5. საბუთების მიღება იწარმოებს 2015 წლის 08 ოქტომბრიდან 09 ნოემბრის ჩათვლით 11:00 სთ-დან 17:00 საათამდე ცენტრის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. № I/3 .
6. განაცხადების გადარჩევა დასრულდეს არაუგვიანეს 2015 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით .
7. გასაუბრების ჩატარების დღედ განისაზღვროს 2015 წლის 3-4 დეკემბერი.
8. კონკურსის შედეგები გამოცხადეს არაუგვიანეს 2015 წლის 09 დეკემბერისა.
9. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
10. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (მ.კიკალიშვილის) კონკურსის შესახებ ინფორმაცის განთავსება ცენტრის ვებ-გვერდზე;
11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი *(ზაალ აბაშიძე)*